საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/73

ქ. ბათუმი **20 მაისი, 2019 წ.**

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დებულებების დამტკიცების შესახებ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის N7, N8, N9 გადაწყვეტილებების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 03 მაისის N01-10/60 ბრძანების, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 03 მაისის N01-10/61 ბრძანების, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 03 მაისის N01-10/62 ბრძანების, ბსუ-ს ფიტოპათოლოგიის და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორის, გურამ მემარნის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის როინ მალაყმაძისა და აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის, რაულ გოცირიძის 2019 წლის 3 მაისის სამსახურებრივი ბარათების (N513470, 512878, 517684) და „ბსუ-ს სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 3 მაისის N01-02/62 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2019 წლის 20 მაისს გამოცხადდეს ღია კონკურსი ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების თანამდებობების დასაკავებლად დანართი 1–ის მიხედვით.
2. კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაცია **(დანართი 2)** გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

3. საკონკურსო ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

3.1. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებით (სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის) დამტკიცებული ფორმების შესაბამისად შედგენილი **საკონკურსო განცხადების** (წინამდებარე ბრძანების დანართი N3), **კონკურსანტის ანკეტისა** (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ფორმა/დანართი 3) და შესაბამისი **დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2019 წლის 04 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით,** 10 საათიდან 16 საათამდე (უქმე დღეების გარდა), ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსი, ოთახი N13 (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - saarchevnokomisia@bsu.edu.ge).

3.2. **კონკურსი ჩატარდეს** (ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული იქნეს შესაბამისი განყოფილებების უფროსების კანდიდატურები და წარდგენილი იქნეს შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორისათვის) **2019 წლის 11 ივნისიდან 13 ივნისის** ჩათვლით.

3.3. ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული განყოფილებების უფროსების კანდიდატურები, შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცების შემთხვევაში წარედგინოს ბსუ-ს რექტორს არაუგვიანეს **2019 წლის 14 ივნისისა** და გამოიცეს ბრძანება გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულების (2024 წლის 12 ივნისამდე ვადით) გაფორმების თაობაზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და იურიდიულ დეპარტამენტს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის

2019 წლის 20 მაისის N 01-02/73 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების უფროსების ვაკანტური თანამდებობები

1. **აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული.
2. **მემბრანული ტექნოლოგიების** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;
3. **ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული.

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების ვაკანტური თანამდებობები

1. **ისტორიისა და არქეოლოგიის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;
2. **ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;
3. **ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - **ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების უფროსების ვაკანტური თანამდებობები

1. **მცენარეთა დაავადების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული.
2. **გამძლეობის გენეტიკის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული.
3. **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;
4. **კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის** განყოფილების უფროსი - 1 საშტატო ერთეული;

„ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის

2019 წლის 20 მაისის N 01-02/73 ბრძანების

დანართი 2

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „ბსუ“) **დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების** (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის; აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის) **სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების თანამდებობების** დასაკავებლად.
2. საკონკურსო განცხადება, კონკურსანტის ანკეტა და შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს **2019 წლის 4 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით,** 10 საათიდან 16 საათამდე, (უქმე დღეების გარდა), ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32, პირველი კორპუსი, ოთახი N13 (მატერიალური სახით წარმოდგენამდე კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - saarchevnokomisia@bsu.edu.ge).
3. კონკურსი ჩატარდება (ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული იქნეხა შესაბამისი განყოფილებების უფროსების კანდიდატურები და წარედგინება შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორს დასამტკიცებლად) **2019 წლის 11 ივნისიდან 13 ივნისის** ჩათვლით.
4. ბსუ-ს თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული განყოფილებების უფროსების კანდიდატურები, შესაბამისი ინსტიტუტის დირექტორის მიერ დამტკიცების შემთხვევაში წარედგინება ბსუ-ს რექტორს არაუგვიანეს **2019 წლის 14 ივნისისა** და გამოიცემა ბრძანება გამარჯვებულ კონკურსანტებთან შრომითი ხელშეკრულების (**2024 წლის 12 ივნისამდე** ვადით) გაფორმების თაობაზე.
5. ღია კონკურსის შედეგები (გამარჯვებული კონკურსანტების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე - www.bsu.edu.ge) არაუგვიანეს 2019 წლის 14 ივნისისა.
6. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) უფროსის თანამდებობაზე შესაძლებელია არჩეული იქნეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

6.1. **ბსუ-ს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე** 5 წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ დამატებით პირობებს:

ა) ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს ან მიღებულია დასაბეჭდად ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებაზე თანდართული **კლასიფიკატორის** 2.2, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.5 ან 3.2 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.2 ან 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს კლასიფიკატორის 4.2, 4.3, 4.4 ან ბოლო 2 წლის განმავლობაში - 4.5 პუნქტებით განსაზღვრულ ერთ-ერთ სამეცნიერო აქტივობაში;

დ) აქვს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მთავარი მეცნიერი თანამშრომლის/ უფროსი მეცნიერ თანამშრომლის ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის/ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

6.2. **ბსუ-ს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე <u>უვადოდ</u>** შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს 6.1. ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (მაგალითად, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვა) და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.1, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 3.1 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.1 ან 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს კლასიფიკატორის 4.1 ან 4.2 პუნქტებით განსაზღვრულ სამეცნიერო აქტივობებში;

დ) ბოლო 10 წლის განმავლობაში შესაბამისი მიმართულებით ხელმძღვანელობდა დოქტორანტს/დოქტორანტებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ე) თანამშრომლობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან (უცხოეთის

უნივერსიტეტებთან/სამეცნიერო ცენტრებთან ერთობლივი სასწავლო ან სამეცნიერო პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა, სტიპენდია/სტაჟირება და სხვ.);

ვ) აქვს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში **მთავარი მეცნიერი თანამშრომლის** ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში **პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

6.3. **ბსუ-ს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე** 5 (ხუთი) წლის ვადით აირჩევა დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს კლასიფიკატორის 2.3, 2.4 (ქართველოლოგიური დარგებისათვის), 2.6 ან 3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი ნაშრომი/მონოგრაფია;

ბ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული და გამოქვეყნებულია შესაბამისი თეზისი/თეზისები კლასიფიკატორის 1.3 (ქართველოლოგიური დარგებისათვის) ან 1.4 ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამეცნიერო ღონისძიებაში;

გ) ბოლო 3 წლის განმავლობაში მონაწილეობა აქვს მიღებული ან მონაწილეობს კლასიფიკატორის 4.6 პუნქტებით განსაზღვრულ სამეცნიერო აქტივობებში;

დ) აქვს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის/მეცნიერი თანამშრომლის ან ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება.

7. **კონკურსანტი ვალდებულია საარჩევნო კომისიაში წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) **განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ** (შედგენილი თანდართული ფორმის შესაბამისად);

ბ) **კონკურსანტის ანკეტა** (შედგენილი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 2 ფოტოსურათი (ზომა 3x4);

ე) შესაბამისი აკადემიური (სამეცნიერო) ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში სამეცნიერო მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვა, დამოწმებული/გაცემული შესაბამისი დაწესებულების მიერ);

ზ) ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესით მოთხოვნილი, ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საკონკურსო თანამდებობის შესაბამისი ერთი სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), რომელიც ყველაზე უკეთ წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო საქმიანობას - საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებისათვის;

თ) შესაბამისი განყოფილების სამეცნიერო კვლევის კონცეფცია.

8. ბსუ-ს წესდების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილების, **,,ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“'** ბსუ-ს რექტორის ბრძანების გაცნობა და კონკურსანტთა განცხადებისა და ანკეტის ფორმების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდიდან - www.bsu.edu.ge (კონკურსების ველიდან).

„ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების (განყოფილებების) უფროსების შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის

2019 წლის 20 მაისის N 01-02/73 ბრძანების

დანართი 3

.....

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს

კონკურსანტ .....
(სახელი ,გვარი),

განცხადება

მსურს მონაწილეობა მივიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ-ს) ..... **ინსტიტუტის** ..... **განყოფილების უფროსის**

(მიუთითეთ მხოლოდ ერთი განყოფილება)

თანამდებობის დასაკავებლად ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 20 მაისის ბრძანებით გამოცხადებულ ღია კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები ბსუ-ს წესდებას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, ზემოაღნიშნული ინსტიტუტის დებულებას და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავებისათვის დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N05 გადაწყვეტილებას.

ხელმოწერა:.....

თარიღი:.....

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი:

ელ.ფოსტა: